შპს ბეიკერ ტილი ჯორჯიას ანგარიში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

შესყიდვების პროცედურების შემოწმებისას აღმოჩენილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ

bakertilly

<u>სარჩევი</u>

ანგარიში აღმოჩენილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ.....2

დანართი N1 - ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული შენიშვნები საქართველოში მოქმედ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და კომპანიის შესყიდვების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი კომენტარები.....4

დანართი N2 - შემოწმების შედეგად ჩვენს მიერ გაცემული რეკომენდაციები და ორგანიზაციის შესყიდვების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი კომენტარები.....6

BC Menteshev Rows
7 Bambis Rigi Street
Tbilisi 0105, Georgia

T: +955 322 438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

ანგარიში აღმოჩენილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ

ვის: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელს“

ჩავატარეთ ქვემოთ მოცემული პროცედურები სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელის“ (შემდეგომში ტექსტში ორგანიზაცია) მიერ 2020 წელს განხორციელებული შესყიდვების შემოწმების მიზნით.

ორგანიზაციამ წარმოგვიდგინა ექსელის ფაილის სახით მის მიერ განხორციელებული შესყდვების სია რომელთა შეჯამებული ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

პროცედურების დასახელება	ჯამური ღირებულება ლარებში
გამარტივებული შესყიდვა	3,052,591
ელექტრონული ტენდერი	69,070,704
სულ ჯამი	**72,123,295**

ამ სიიდან ჩვენ შევარჩევთ 100 შესყიდვის ოპერაცია. 50 გამარტივებული შესყიდვაზე და 50 ელექტრონული ტენდერის სახით განხორციელებულ შესყიდვაზე. ჩვენს მიერ შემოწმებული შესყიდვების შეჯამებული მონაცემებია:

პროცედურების დასახელება	ჯამური ღირებულება ლარებში
გამარტივებული შესყიდვა	2,815,992
ელექტრონული ტენდერი	68,814,567
სულ ჯამი	**71,630,559**

პროცედურები, რომლიც ჩვენ ჩავატარებთ, ჩატარდა მხოლოდ თქვენ მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან სისტემაში ატვირთულ დოკუმენტაციაზე. ქვემოთ მოცემული პროცედურები შესრულებულია მხოლოდ იმისათვის, რომ დაგეხმაროთ თქვენს მიერ 2020 წელს განხორციელებული შესყიდვების საქართველოში მოქმედ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის სტატუსის შეფასებაში და შეჯამებულია შემდეგნაირად:

„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს მე-13 ბრძანების შესაბამის გამარტივებული შესყიდვის შედეგად დადებულ ხელშეკრულებების შემოწმებისას ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურები შემოიფარგლებოდა შემდეგით:

- ჰქონდა თუ არა შემსყიდველს გამოყენებული შესყიდვის საშუალებით საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვის ზემოთ მოყვანილი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილება;
- შემსყიდველის მხრიდან შესყიდვა შეეხებოდა თუ არა ზემოთ მოყვანილი ბრძანებით განსაზღვრული საქონელს ან/და მომასახურებას;
- დაცული იყო თუა არა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ფორმალური (და არა მატერიალური) მოთხოვნები;
- მომწოდებელების მხრიდან წარმოდგენილი გარანტიის ოდენობა შეესაბამებოდა თუ არა ზემოთ მოყვანილი ბრძანებით განსაზღვრული განსაზღვრულ პირობებს;
- ხელშეკრულების დადებისას პრეტენდენტის/მიმწოდებლის მიერ წარდგენილი საავანსო გადახდის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია შეესაბამებოდა თუ არა ხელშეკრულებით გათვალსიწინებულ ოდენობას, ასევე შეესაბამებოდა თუ არა ფაქტობრივად გადახდილი ავანსის ოდენობა ხელშეკრულების პირობებს;
- შემსყიდველის მიერ განხორციელდა თუ არა კონტროლი მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე;
- შემოწმდა რამდენად შეესაბამებოდა ხელშეკრულების შესრულების ამსახველი ორმხრივი დოკუმენტები ხელშეკრულების პირობებს და ხორციელდებოდა თუ არა ანგარიშსწორება დადგენილ ვადებში.

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

“ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის მე-12 ბრძანების შესაბამისად ელექტრონული ტენდერების შედეგად დადებულ ხელშეკრულებების შემოწმებისას ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურები შემოიფარგლებოდა შემდეგით:

- ჰქონდა თუ არა შემსყიდველს გამოყენებული შესყიდვის საშუალებით საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვის ზემოთ მოყვანილი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილება;
- შემსყიდველის მხრიდან შესყიდვა შეეხებოდა თუ არა ზემოთ მოყვანილი ბრძანებით განსაზღვრული საქონელს ან/და მომასახურებას;
- ყველა გადაწყვეტილება, რომელიც აუცილებელია ელექტრონული ტენდერის ჩატარებისთვის, პრეტენდენტის შერჩევა-შეფასებისათვის, ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენისა და ხელშეკრულებაზე პრეტენდენტის მოწვევისთვის, ასახულია ოქმებში, ეს ოქმები გაფორმებულია რეგულაციასთან შესაბამისი წესით და ეს ოქმები ატვირთულია სისტემაში კანონით გათვალიწინებულ ვადაში;.
- დაცული იყო თუა არა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ფორმალური (და არა მატერიალური) მოთხოვნები;
- მომწოდებელების მხრიდან წარმოდგენილი გარანტიის ოდენობა შეესაბამებოდა კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებს;
- ხელშეკრულების დადებისას პრეტენდენტის/მიმწოდებლის მიერ წარდგენილი საავანსო გადახდის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია შეესაბამებოდა თუ არა ხელშეკრულებით გათვალსიწინებულ ოდენობას, ასევე შეესაბამებოდა თუ არა ფაქტობრივად გადახდილი ავანსის ოდენობა ხელშეკრულების პირობებს;
- შემსყიდველის მიერ განხორციელდა თუ არა კონტროლი მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე;
- შემოწმდა რამდენად შეესაბამებოდა ხელშეკრულების შესრულების ამსახველი ორმხრივი დოკუმენტები ხელშეკრულების პირობებს და ხორციელდებოდა თუ არა ანგარიშსწორება დადგენილ ვადებში.

დანართი 1-ის სახით წარმოდგენილია ზემოთ მოცემული პროცედურების ჩატარების შედეგად შემოწმებული შესყიდვების ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული შენიშვნები საქართველოში მოქმედ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით და მათზე კომპანიის შესყიდვების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი კომენტარები. დანართი 2-ის სახით წარმოგიდგენთ ზემოთ მოცემული პროცედურების ჩატარების შედეგად შემოწმებული შესყიდვების ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ჩვენი შემოწმების შედეგად ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს და კომპანიის შესყიდვების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ კომენტარებს. დანართი 1-ში მოცემული შენიშვნების გარდა შერჩეულ შესყიდვებზე ჩვენს მიერ ჩატარებული შემოწმების პროცედურების ჩატარების შედეგად სხვა შეუსაბამობები მოქმედ სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან მიმართებაში არ აღმოგვიჩენია.

ჩვენი ანგარიში მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რაზეც საუბარია დასკვნის პირველ პუნქტში და განკუთვნილია თქვენი ინფორმირებისათვის. ეს დასკვნა არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა მიზნით, არც რომელიმე სხვა მხარეს არ უნდა გადაეცეს გარდა, მოთხოვნის საფუძველზე, სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოებსა და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებს.

პატივისცემით,

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
2021 წლის 20 აპრილი
თბილისი, საქართველო

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

დანართი N1 - ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული შენიშვნები საქართველოში მოქმედ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და კომპანიის შესყიდვების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი კომენტარები[1]

"ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის მე-12 ბრძანების შესაბამისად ჩატარებული ელექტრონული ტენდერების შედეგად დადებულ ხელშეკრულებების შემოწმებისას ჩამოყალიბებული შენიშვნები

1. **შენიშვნა - გარანტიის აუტვირთელობა**

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანების 35-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით „შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტია (არსებობის შემთხვევაში) სისტემაში ატვირთოს ხელშეკრულების დადებასთან ერთად ან მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, თუ წინასწარი ანგარიშსწორება გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე". NAT200008305 ტენდერში ავანსი გადარიცხულია 2020 წლის 6 და 19 ნოემბერს, ხოლო შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია, რომელიც გაცემულია 2020 წლის 16 ოქტომბერს - ხელშეკრულების გაფორმების დღეს (ამ დღესვე უნდა ატვირთულიყო) ატვირთულია 2021 წლის 26 მარტს.

შესყიდვების დეპარტამენტის კომენტარი

შესყიდვების სამსახურის თანამშრომლების კორონავირუსით ინფიცირების გამო, დროულად ვერ მოხდა ამ საკითხზე თვალყურის მიდევნება.

[1] ორგანიზაციის შესყიდვების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი კომენტარებ მოცემულია უცვლელი სახით

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს მე-13 ბრძანების შესაბამის გამარტივებული შესყიდვის შედეგად დადებულ ხელშეკრულებების შემოწმებისას ჩამოყალიბებული შენიშვნები

2. **შენიშვნა - (შესყიდვის ნომერი CMR190202567) არ არის წარმოდგენილი ქართულ ენაზე თარგმნილი ხელშეკრულება, და არ არის ატვირთული მიღება-ჩაბარების აქტი**

არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობით დადგენილი წესით ქართულ ენაზე ნათარგმნი ხელშეკრულება, რასაც მოითხოვს „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ დამტკიცების თაობაზე ბრძანების მე-10 მუხლის 1-ელი პუნქტი.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ დოკუმენტი არ არის ატვირთული სისტემაში.

მიღება-ჩაბარების აქტი არ არის ატვირთული სისტემაში, თუმცა მათგან ერთ-ერთი (სულ ოთხი მიღება ჩაბარება აქტი უნდა გაფორმებულიყო კვარტალურ მომსახურებაზე) დამატებით ნიმუშის სახით ჩვენთვის წარმოდგენილია ასლები სახით ელექტრონული ფოსტით.

მიმწოდებლის ინვოისები ატვირთულია სისტემაში უცხო ენაზე, რაც ასევე უნდა იყოს თარგმნილი ქართუ ენაზე.

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

დანართი N2 - შემოწმების შედეგად ჩვენს მიერ გაცემული რეკომენდაციები და ორგანიზაციის შესყიდვების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი კომენტარები[2]

"ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის მე-12 ბრძანების შესაბამისად ჩატარებული ელექტრონული ტენდერების შედეგად დადებულ ხელშეკრულებების შემოწმებისას ჩამოყალიბებული რეკომენდაცია

1. **შენიშვნა - დაჯარიმების ამსახველი დოკუმენტები სისტემაში არ ატვირთვა**

ეხება შემდეგ შესყიდვებს: NAT200006111, NAT200005005, NAT190022647, SPA200001413, NAT200015900, NAT200016002, SMP200002400, NAT200012431, NAT190024555.

შესყიდვების ელექტრონული სისტემაში არ არის ატვირთული ზემოთ მოყვანილი შესყიდვების პროცესში მათი დაჯარიმების ამსახველი დოკუმენტები, ჩვენთვის ეს დოკუმენტების შემდგომშია მოწოდებული. ზოგადად სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მის საფუძველზე შექმნილი ტექნიკური საშუალებები შექმნის და პრაქტიკაში დანერგვის მიზანი წარმოადგენდა სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება ("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დ) და ე) პუნქტები). ჩვენ ვთვლით რომ ყველა დოკუმენტი რომელიც განსაზღვრულია შესყიდვის ხელშეკრულებით, შესყიდვის კანონმდებლობით და რომელიც ასახავს შესყიდვის პროცესში განხორციელებული კონტროლის პროცესს უნდა იყოს ატვირთული ელექტრონული შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანების მე-7 მუხლის მიხედვით „შემსყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდენტს/მიმწოდებელს შორის ნებისმიერი მიმოწერა მიმდინარეობს სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით. სისტემის გამოყენების გარეშე მიმოწერა სავალდებულო არ არის. შეტყობინება ოფიციალურად მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან." შესაბამისად, პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის წერილიც და საგადასახადო დავალებაც სასურველია აიტვირთოს სისტემაში. მიუხედავად იმისა რომ კანონის პირდაპირ არ მიუნიშნებს ამ მოთხოვნას.

2. **შენიშვნა - TVC Solutions, UAB (შესყიდვა NAT200007464)**

ამა ტენდერთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით, თუმცა, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დასრულების საბოლოო ვადა, კერძოდ პერსონალის ტრეინინგისა და ექსპლუატაციაში ჩაშვების მომსახურება, ეთერში გაშვების ჩათვლით, გახანგრძლივდა 2021 წლის 1 აპრილის ჩათვლით, შესაბამისად უნდა გახანგრძლივებულიყო გარანტიის ვადაც. სატენდერო დოკუმენტაციის 6.3 პუნქტის მიხედვით, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების საბოლოო ვადას.

მენეჯმენტის კომენტარი

აღნიშნული ტენდერით კომპანიის მხრიდან ხდებოდა როგორც საქონლის მოწოდება და მონტაჟი, ასევე, შემდგომ პერსონალის ტრენინგი.

კომპანიამ მაუწყებელს სრულად მოაწოდა ტექნიკური დავალებით განსაზღვრული აპარატურა, მაგრამ ტრენინგების კომპონენტი შეფერხდა რამდენიმე მიზეზის გამო, კერძოდ:

1) აღნიშნული ტენდერით შესყიდული აპარატურის ექსპლუატაციაში გასაშვებად და ტრენინგების ჩასატარებლად, საჭირო იყო სხვა ტექნიკური აღჭურვილობებიც, რომლის შესყიდვას საზოგადოებრივი მაუწყებელი სხვა ტენდერით ახორციელებდა და რომელიც ერთ-ერთი კომპანიის მიერ გასაჩივრებული იქნა დავების განხილვის საბჭოში, ხოლო საბჭოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა

[2] ორგანიზაციის შესყიდვების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი კომენტარები მოცემულია უცვლელი სახით

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

მაუწყებლის მიერ სასამართლოში. შედეგად აღნიშნული ტექნიკის მიწოდება შეფერხდა და შესაბამისად ვერ მოხერხდა ტრენინგების დაწყება;

2) გარდა ამისა, დამძიმებული პანდემიური სიტუაციის გამო, შეუძლებელი იყო ტრენინგების ორგანიზება.

შედეგად, არა შემსრულებლის მიზეზით, დადგა რეალობა, რომ დამკვეთი ვერ აუნაზრაურებდა კომპანიას თანხას, რადგან არ იყო ჩატარებული ტრენინგები. თუმცა, ხელშეკრულება (მუხლი 7.14) ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ თუ შემსყიდველის მხრიდან იქნებოდა მომწოდებლის შეფერხება 30 დღეზე მეტი ვადით, შემსყიდველი ვალდებული იყო გადაეხადა საქონლის და მომსახურების ღირებულება სრულად.

ამიტომ, ვინაიდან კომპანიას საქონელი სრულად მოწოდებული ქონდა, ხოლო ტრენინგების ჩატარებას ვერ ახერხებდა არა საკუთარი, არამედ შემსყიდველის მიზეზით, მათ ქონდათ უფლება მოეთხოვათ სრული თანხა, თუმცა მოხდა შეთანხმება, რომ კომპანიას აუნაზღაურდებოდა მოწოდებული საქონლის ღირებულება, ხოლო ტრენინგების და ექსპლუატაციაში გაშვების თანხა, გადახდილი იქნებოდა მას შემდეგ, რაც მაუწყებელი უზრუნველყოფდა სათანადო პირობებს და ფაქტორებს ტრენინგების დასაწყებად.

მომწოდებლის მხრიდან ეს იყო გარკვეული დათმობა, ვინაიდან მას თავისუფლად შეეძლო მიეღო სრული თანხაც. შესაბამისად, შემსყიდველის მხრიდან საბანკო გარანტიის გახანგრძლივების მოთხოვნა არ იქნებოდა სამართლიანი, მითუმეტეს, რომ ტრენინგების თანხა ჯერ არც არის ანაზღაურებული და შესაბამისად საბანკო გარანტიის საკითხი არც არის აქტუალური.

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

About Baker Tilly
Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

Contact us
Baker Tilly Georgia LLC
BC Menteshev Rows
Tbilisi 0105, Georgia
7 Bambis Rigi Street
office@bakertilly.ge
T: +995 032 2 483 999
www.bakertilly.ge